


 <p>ააიპ კავშირი ასოციაცია „გამა“-ს პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო</p>	ხარისხის სახელმძღვანელო (დანართები, პროცედურები და ფორმები)		
	პროდუქტის სერტიფიკაციის სქემების პროცედურა GSO-QM--PR-A-11	ვერსია	01
		თარიღი	15.02.2026
		გვერდი	1/8

პროცედურა
პროდუქტის სერტიფიკაციის სქემები

	შეადგინა	შეამოწმა
სახელი, გვარი	კახაბერ სამარლანიშვილი	ტარიელ ადამია
თანამდებობა	ხარისხის მენეჯერი	ხელმძღვანელის მოადგილე
ხელმოწერა		
თარიღი	15.02.2026	15.02.2026

 <p>ააიპ კავშირი ასოციაცია „გამა“-ს პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო</p>	ხარისხის სახელმძღვანელო (დანართები, პროცედურები და ფორმები)	
	პროდუქტის სერტიფიკაციის სქემების პროცედურა GSO-QM--PR-A-11	ვერსია 01
	გვერდი	15.02.2026 2/8


პროდუქტის სერტიფიკაციის სქემები

სერტიფიკაციის ორგანოს მიერ შემუშავებულია პროდუქტის სერტიფიკაციის სქემების პროცედურა.

- პროდუქტის შესაბამისობის სერტიფიკაციის დროს გამოიყენება სერტიფიკაციის სქემები შემუშავებული სერტიფიკაციის ორგანოს მიერ ისო/იეკ 17067-2013-ის მიხედვით.
- პროდუქტის სერტიფიკაციის დროს განმცხადებელი ორგანოსთან შეთანხმებით ირჩევს შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტაციას და სერტიფიკაციის სქემას.
- სერტიფიკაციის ორგანო თავის საქმიანობაში აპირებს გამოიყენოს სერტიფიკაციის სქემა 4G პროდუქტის სერიულ წარმოებაზე და სქემა 7G პროდუქტის პარტიაზე.

სქემა 4G სერიული წარმოების პროდუქტის სერტიფიკაციის პროცესი მოიცავს:

- სერტიფიკაციაზე განაცხადის მიღებას და მასზე დართული დოკუმენტების განხილვას;
- შესაბამისობის დამადასტურებელი საბუთების შესწავლას (მაგ: პროდუქტის შესაბამისობის დეკლარაციას საჭიროების შემთხვევაში);
- განაცხადის განხილვას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განმცხადებელთან სერტიფიკაციის ჩატარებაზე მომხმარებელთან ხელშეკრულების გაფორმებას;
- ხელშეკრულება ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის, სერტიფიკაციის სქემის და აკრედიტირებული საგამოცდო ლაბორატორიის შერჩევას, ანაზღაურების პირობებს, სერტიფიკაციის სქემას, ზედამხედველობის პერიოდულობის ჩატარებას;
- სერტიფიკაციის ჩასატარებლად ექსპერტ/აუდიტორის დანიშვნას;
- წარმოების შეფასების პროგრამის შედგენას;
- შეფასებისას წარმოების მდგომარეობის ანალიზის აქტის შედგენას (ანალიზის აქტის ფორმა GSO-QM-A-5-F);
- პროდუქტის იდენტიფიკაციას და პროდუქტის ნიმუშების აღებას (ნიმუშის აღების აქტის ფორმა GSO-QM-A-6-F და ნიმუშის აღების პროცედურა GSO-QM--PR-A-12);
- პროდუქტის ნიმუშების ლაბორატორიაში გადაცემას ხელშეკრულების საფუძველზე;
- ლაბორატორიის ოქმის განხილვას;
- შეფასების პროცესში მოპოვებული დოკუმენტაციის პაკეტის ანალიზს;
- გადაწყვეტილების მიღებას სერტიფიკაციის გაცემის შესახებ;
- სერტიფიკატის გაცემას.


 <p>ააიპ კავშირი ასოციაცია „გამა“-ს პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო</p>	ხარისხის სახელმძღვანელო (დანართები, პროცედურები და ფორმები)		
	პროდუქტის სერტიფიკაციის სქემების პროცედურა GSO-QM--PR-A-11	ვერსია	01
		თარიღი	15.02.2026
		გვერდი	3/8

წარმოების მდგომარეობის შეფასებისას (ანალიზი) მოწმდება :

- საწარმოს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებობა;
- საწარმოს სანიტარიული მდგომარეობა;
- შენობა-ნაგებობის და ტექნოლოგიური აღჭურვილობის მდგომარეობა;
- პერსონალის სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა;
- წარმოებაში ნედლეულის, მასალების და მაკომპლექტებელი ნაკეთობების შემავალი კონტროლის ხარისხი;
- მზა პროდუქტის ხარისხის შიდა საწარმოო ლაბორატორიული კონტროლი;
- მზა პროდუქტის ეტიკეტირება, შეფუთვა და შენახვა;
- ხელსაწყო-დანადგარების მეტროლოგიური უზრუნველყოფის მდგომარეობა;
- წარმოებაში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა.
- მენეჯმენტის სისტემის შემოწმება საჭიროების შემთხვევაში.

ლაბორატორიული გამოცდების და წარმოების მდგომარეობის შეფასების შედეგების საფუძველზე, პროდუქტის სერიულ წარმოებაზე შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის გადაწყვეტილებას იღებს სერტიფიკაციის ორგანოს მიერ დანიშნული პირი (ან პირთა ჯგუფი), რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა შეფასების პროცედურაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში სერტიფიკაციის ორგანოს ერთმნიშვნელოვნად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება შეაჩეროს ან შეწყვიტოს პროდუქტის სერტიფიკაციის სამუშაოები.

სერიულ წარმოებაზე შესაბამისობის სერტიფიკატი გაცემა არა უმეტეს ერთი წლის ვადით. სერიულ წარმოებაზე გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატის მოქმედების პერიოდში, თუ მოქმედების ვადა აღემატება სამ თვეს, პროდუქტის სერტიფიცირებული მახასიათებლების გადამოწმების მიზნით, სერტიფიკაციის ორგანო ახორციელებს ზედამხედველობას. როდესაც პროდუქტის ვარგისიანობის ვადა არ აღემატება 6 თვეს ზედამხედველობა ტარდება

 <p>ააიპ კავშირი ასოციაცია „გამა“-ს პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო</p>	ხარისხის სახელმძღვანელო (დანართები, პროცედურები და ფორმები)		
	<p>პროდუქტის სერტიფიკაციის სქემების პროცედურა GSO-QM--PR-A-11</p>	ვერსია	01
		თარიღი	15.02.2026
		გვერდი	4/8


არანაკლებ 3 თვეში ერთხელ, ხოლო ვარგისიანობის უფრო ხანგრძლივი ვადის მქონე პროდუქტზე განმცხადებელსა და სერტიფიკაციის ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

ზედამხედველობას ჩატარების პერიოდულობა თანხმდება განმცხადებელთან ხელშეკრულების გაფორმების დროს. პროდუქტის ხარისხის გაუარესების შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, სერტიფიკაციის ორგანო ატარებს არაგეგმიურ ზედამხედველობას. ასევე, საჭიროების შემთხვევაში სერტიფიკაციის ორგანო იტოვებს უფლებას საანალიზო ნიმუშების აღება განახორციელოს არა საწარმოდან, არამედ ბაზარზე განთავსებული პროდუქტიდან.

ზედამხედველობის სამუშაოები მოიცავს;

- სერტიფიცირებული პროდუქტის ნიმუშების აღებას;
- სერტიფიცირებული პროდუქტის გამოცდას;
- ჩატარებული გამოცდების ოქმების შედეგების ანალიზს;
- წარმოების მდგომარეობის ანალიზს;
- შესრულებულ სამუშაოთა შედეგების ანალიზს;
- წარმოების ანალიზისა და ნიმუშების აღების აქტის გაფორმებას.


ზედამხედველობის დროს ხორციელდება იგივე პროცედურები, როგორც პირველადი სერტიფიცირების პროცესის დროს. სერტიფიკაციის ორგანო, თუ დარწმუნებულია საწარმოს გამართულ ფუნქციონირებაში, მას შეუძლია გაამარტივოს ზედამხედველობის პროცედურები მხოლოდ საწარმოს შემოწმების პროცესში, სხვა შემთხვევაში პროცესი რჩება უცვლელი (მაგ. საანალიზო ნიმუშების აღება, საწარმოს ლაბორატორიის ჩანაწერების შემოწმება, საწარმოს სანიტარული მდგომარეობა). ზედამხედველობას დროს მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, შეუსაბამობების გამოვლენის შემთხვევაში, სერტიფიკაციის ორგანოს შეუძლია შეაჩეროს ან გააუქმოს გაცემული სერტიფიკატის მოქმედება, რაზედაც განმცხადებელს უნდა ეცნობოს შედეგები 3 დღის ვადაში.

 <p>ააიპ კავშირი ასოციაცია „გამა“-ს პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო</p>	ხარისხის სახელმძღვანელო (დანართები, პროცედურები და ფორმები)		
	პროდუქტის სერტიფიკაციის სქემების პროცედურა GSO-QM--PR-A-11	ვერსია	01
		თარიღი	15.02.2026
		გვერდი	5/8

საგამოცდო ნიმუშების აღება სერიული წარმოების დროს, წარმოების სისტემატიური კონტროლიდან და წარმოებული პროდუქტის ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, წარმოებს სერტიფიკაციის ორგანოში დანერგილი ნიმუშის აღების პროცედურის შესაბამისად მთლიანი შეფუთვების სახით. პროდუქტის ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, როდესაც მხოლოდ ტარის მოცულობაა განსხვავებული, სერტიფიკაციის ორგანო იტოვებს უფლებას საანალიზო პროდუქტის გამოცდა ერთ ტარაზე ჩაატაროს სრული ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზის მიხედვით, ხოლო დანარჩენი ტარიების გამოცდა აწარმოოს ძირითადი, სპეციფიკური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით. მიღებული გამოცდის შედეგების შესაბამისად, შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემაზე გადაწყვეტილებას ღებულობს სერტიფიკატის ორგანო.

7G სქემა პარტიაზე პროდუქტის სერტიფიკაციის პროცესი მოიცავს:

- სერტიფიკაციაზე განაცხადის მიღებას და მასზე დართული დოკუმენტების განხილვას;
- შესაბამისობის დამადასტურებელი საბუთების შესწავლას (მაგ: პროდუქტის შესაბამისობის დეკლარაციას საჭიროების შემთხვევაში);
- განაცხადის განხილვას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განმცხადებელთან სერტიფიკაციის ჩატარებაზე მომხმარებელთან ხელშეკრულების გაფორმებას;
- ხელშეკრულება ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის, სერტიფიკაციის სქემის და აკრედიტირებული საგამოცდო ლაბორატორიის შერჩევას, ანაზღაურების პირობებს, სერტიფიკაციის სქემას;
- სერტიფიკირების ჩასატარებლად ექსპერტ/აუდიტორის დანიშვნას;
- შეფასების პროგრამის შედგენას;
- შეფასებისას წარმოების მდგომარეობის ანალიზის აქტის შედგენას (ანალიზის აქტის ფორმა GSO-QM-A-5-F);
- პროდუქტის იდენტიფიკაციას და პროდუქტის ნიმუშების აღებას (ნიმუშის აღების აქტის ფორმა GSO-QM-A-6-F და ნიმუშის აღების პროცედურა GSO-QM--PR-A-12);
- პროდუქტის ნიმუშების ლაბორატორიაში გადაცემას ხელშეკრულების საფუძველზე;
- ლაბორატორიის ოქმის განხილვას;
- გადაწყვეტილების მიღებას სერტიფიკაციის გაცემის შესახებ;
- სერტიფიკატის გაცემას.

 <p>ააიპ კავშირი ასოციაცია „გამა“-ს პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო</p>	ხარისხის სახელმძღვანელო (დანართები, პროცედურები და ფორმები)		
	პროდუქტის სერტიფიკაციის სქემების პროცედურა GSO-QM--PR-A-11	ვერსია	01
		თარიღი	15.02.2026
		გვერდი	5/8

7G სქემის შემთხვევაში, აუცილებელია შემოწმდეს პროდუქტის განთავსების ადგილი, პროდუქტის წარმოების ადგილი, მწარმოებლის დამადასტურებელი სხვა აუცილებელი დოკუმენტაცია.


წარმოების მდგომარეობის შეფასებისას (ანალიზი) მოწმდება :

- საწარმოს სანიტარიული მდგომარეობა;
- შენობა-ნაგებობის და ტექნოლოგიური აღჭურვილობის მდგომარეობა;
- პერსონალის სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა;
- მზა პროდუქტის ეტიკეტირება, შეფუთვა და შენახვა;
- ხელსაწყო-დანადგარების მეტროლოგიური უზრუნველყოფის მდგომარეობა;
- წარმოებაში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა.
- ფორმდება შესაბამისი აქტი.
- საწარმოს შემოწმების შემდგომ ხორციელდება ნიმუშის აღება.

პროდუქტის სერტიფიცირებისას ერთ პარტიად ითვლება ერთი თარიღით, ერთნაირ მოცულობასა და ტარაში ჩამოსხმული პროდუქტი.

შესამოწმებელი პროდუქტის წილი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პარტიის ყველა ერთეულის შემოწმებას (100% შემოწმება) განისაზღვრება, პარტიაში ნაწარმის ერთგვაროვნობაზე და აუცილებლობის შემთხვევაში, ნიმუშების აღების გეგმის გამოყენებაზე. თუ განსაზღვრის, საბოლოო შემოწმების და გადაწყვეტილების მიღების შედეგი დადებითია, პარტიის ყველა ნაწარმი შეიძლება ჩაითვალოს სერტიფიცირებულად.

საწარმოს შემოწმების შედეგად დადებითი დასკვნის საფუძველზე სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტი განცხადებული პროდუქტის პარტიიდან იღებს გამოსაცდელ ნიმუშს, რა დროსაც ხდება მთლიანი პარტიის იდენტიფიცირება და შესაბამისი აქტის გაფორმება, რომელსაც ხელს აწერს სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტი და განმცხადებელი, რომელიც ესწრებოდა პროდუქტის ნიმუშის აღების პროცედურას. აუცილებელია განმცხადებელმა წარმოადგინოს პროდუქტის შესაბამისობის დეკლარაცია (საჭიროების შემთხვევაში). აღებული საკონტროლო ნიმუშები რჩება როგორც განმცხადებელთან, ასევე სერტიფიკაციის ორგანოში.

 <p>ააიპ კავშირი ასოციაცია „გამა“-ს პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო</p>	ხარისხის სახელმძღვანელო (დანართები, პროცედურები და ფორმები)		
	<p>პროდუქტის სერტიფიკაციის სქემების პროცედურა GSO-QM--PR-A-11</p>	ვერსია	01
		თარიღი	15.02.2026
		გვერდი	5/8

პარტიის სერტიფიცირების შემთხვევაში ნიმუშების აღება ხორციელდება გოსტ 23268.0-91-ის (წყლები მინერალური სასმელი-სამკურნალო, სამკურნალო-სუფრის და ბუნებრივი სუფრის მიღების წესები და სინჯის აღების მეთოდები) მიხედვით, ხოლო უალკოჰოლო (მათ შორის, არომატიზირებული და ხელოვნურად მინერალიზირებული წყლები, გოსტ 6687.0-86-ის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ სერტიფიკაციის ორგანოს საანალიზოდ არ ყოფნის მოცემული სტანდარტების მიხედვით ნიმუშების რაოდენობა, ამ შემთხვევაში სერტიფიკაციის ორგანო ხელმძღვანელობს ნიმუშის აღების პროცედურა GSO-QM--PR-A-12 მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს ერთდროულად შემოაქვს განაცხადი სხვადასხვა თარიღით, მაგრამ ერთნაირ მოცულობასა და ტარაში ჩამოსხმული პროდუქტიზე, ერთი პარტიის პროდუქტის გამოცდა ჩატარდება სრული ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზის მიხედვით, ხოლო დანარჩენი პარტიების გამოცდა იწარმოებს ძირითადი, სპეციფიკური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით.

მიღებული გამოცდის შედეგების შესაბამისად, შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემაზე გადაწყვეტილებას ღებულობს სერტიფიკატის ორგანო.

სერტიფიკაციის ორგანოს შეუძლია გამოიყენოს კონკრეტული პროდუქტისათვის ახალი სერტიფიკაციის სქემა, განმცხადებლის მოთხოვნების გათვალისწინებით და მასთან შეთანხმებით.

გავეცანი პროცედურას - GSO-QM--PR-A-11
 - პროდუქტის სერტიფიკაციის სქემების პროცედურა

კავშირი „ასოციაცია გამა“-ს პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო		
თანამდებობა	სახელი, გვარი	ხელმოწერა
ხელმძღვანელი	ვახტანგ გვახარია	
ხელმძღვანელის მოადგილე	ტარიელ ადამია	
ხარისხის მენეჯერი/ექსპერტი	კახაბერ სამარლანიშვილი	
ექსპერტი	თეიმურაზ ურუშაძე	
ფინანსური მენეჯერი	ზურაბ მგალობლიშვილი	
სპეციალისტი	ნინო გელაშვილი	
სპეციალისტი	ნინო ქადაგიშვილი	